ოქმი №7

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სახდომისა, რომელიც ჩატარდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2025 წლის 23 მაისს.

სხდომა დაიწყო 12:30 საათზე, დამთავრდა 12:55 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები – ი. ქარდავა, ი. ცხვიტავა, მ. გვიჩია, ზ. ყურაშვილი, კ. ტორჩინავა, მ. ნანეიშვილი, ლ. კუჭავა.

ასევე ესწრებოდნენ: შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" დირექტორი - ლ. დგებუაძე; - შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" ფინანსური მენეჯერი - მ. სართანია. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" დირექტორი: მ. ბოჯგუა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – ინგა ქარდავა.

დღის წესრიგი:

1. შ.პ.ს. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე

მომხსენებელი: შ.პ.ს. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" დირექტორი: მ. ბოჯგუა

2. შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" დირექტორი: ლ. დგებუაძე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 7; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინა: 1. შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" დირექტორი: ლ. დგებუაძე

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" 2024 წელს გაწეული საქმიანობა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა მადლობა გადაუხადეს შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" დირექტორს ქალბატონ ლ. დგებუაძეს 2024 წელს გაწეული საქმიანობისთვის.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ **გადაწყვიტა:**

1. შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობა შეფასებულ იქნეს დადებითად.
2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი, რათა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოესი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

მოისმინეს: 2. შ.პ.ს. „სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების” მოსმენა და შეფასება 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხსენებელი: შ.პ.ს. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური
გაერთიანების” დირექტორი: მ. ბოჯგუა

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა შ.პ.ს. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების” 2024 წელს გაწეული საქმიანობა.

აზრი გამოთქვეს: ლ. კუჭავამ, მ. გვიჩიამ, ზ, ნაჭყებიამ, მ. ბოჯგუამ, ი. ქარდავამ.

კომისიის სხდომა დატოვა კომისიის წევრმა ლ. კუჭავამ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. შ.პ.ს. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების” 2024 წელს გაწეული საქმიანობა შეფასებულ იქნეს დადებითად.

2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი, რათა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოესი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ინგა ქარდავა